ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №129

2011 წლის 10 ოქტომბერი
ქ. ქობულეთი

ს.ს. „სილქნეტი“-სათვის ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის მონტაჟისათვის საზოგადოებრივი სივრცის გამოყენებაზე თანხმობის მიცემის შესახებ

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო აღნიშნავს, რომ ს.ს. „სილქნეტი“ აწარმოებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის მონტაჟს მდინარე „კინტრიში”-ს საავტომობილო ხიდიდან ბობოყვათის სამთავრობო რეზიდენციამდე.

საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №-57 დადგენილების „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ” საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის მე-3 პუნქტისა და 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ძ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. მიეცეს თანხმობა ს.ს. „სილქნეტი“-ს ქ.ქობულეთის ტერიტორიაზე აწარმოოს ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის მონტაჟი მდინარე „კინტრიში”-ს საავტომობილო ხიდიდან ბობოყვათის სამთავრობო რეზიდენციამდე.
2. ს.ს. „სილქნეტ“-მა ქ. ქობულეთის ტერიტორიაზე ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის მონტაჟისათვის საჭირო ნებართვის მისაღებად დაკავშირებული პროცედურები აწარმოოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
3. გაფრთხილდეს ს.ს. „სილქნეტი“ მასზედ, რომ სახელმწიფო პროგრამით დაგეგმილი განაშენიანების სამუშაოების ჩატარების საჭიროების შემთხვევაში საკუთარი ძალებით უზრუნველყოს საკაბელო ტრასის ადგილმონაცვლეობა.
4. ს.ს. „სილქნეტი“-მა უზრუნველყოს ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის მონტაჟისათვის საჭირო საპროექტო დოკუმენტაციის შეთანხმება ქ.ქობულეთში არსებული სხვა საინჟინრო-კომუნალური ქსელების მეპატრონეებთან. (შ.პ.ს. „ფოპნეტი“, შ.პ.ს. „ა-ნეტ A-NET“, ს.ს. „ენერგო-პროჯორჯია“, შ.პ.ს. „ქობულეთის წყალკანალი“, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საავტომობილი გზებისა და სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტემენტი).
5. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს (ე.ბაგრატიონი);
6. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ.№-30).
7. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე ნ. ბერაძე